ნინო გაბინაშვილი
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
nino.gabinashvili221@hum.tsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.13

„ჩვენ"/"სხვა" დიქოტომიის აღქმა ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბების პროცესში („ივერიის" 1899 წლის ნომრების მიხედვით)

საკვანძო სიტყვები: ქართული ნაციონალიზმი, ქართული ისტორიოგრაფია, ერები

ქართული ნაციონალიზმის კვლევა აქტუალური სამეცნიერო პრობლემაა და შეიძლება ითქვას, ქართულ ისტორიოგრაფიაში პოპულარულიც.

ეთნოსიმბოლისტური მიდგომით, ერების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ელიტას. ელიტები მოქმედებენ არა სრულიად ვოლუნტარისტულად, არამედ წინარე არსებული ეთნიკური კულტურის ფარგლებში. ამგვარად, ერთი მხრივ, ინტელექტუალთა აქტივობას და მათ მიერ ინიცირებულ დისკურსს და, მეორე მხრივ, რეალურად არსებულ კულტურას და მასებს თანამედროვე ერების შექმნაში აქვთ მნიშვნელობა. ერები მოდერნული ფენომენებია, მაგრამ ისინი წინამოდერნული ერთობების მემკვიდრეობაზე არიან აღმოცენებულნი (ჩხარტიშვილი 2020: 188).

"ნაციონალიზმს ეთნოსიმბოლიზმი განიხილავს როგორც კულტურის შემადგენელს, ნაციონალისტურ მოძრაობებს უკავშირებს კულტურულ რენესანსანსებს და გამორჩეულ ნაციონალისტ ლიდერებს ერების დამფუძნებელ მამებად თვლის"(ჩხარტიშვილი 2020: 188).

ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბება XIX საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში ყოფნისას მოხდა. ზოგადად XIX საუკუნე მოდერნული ნაციების ჩამოყალიბებით ხასიათდება. საქართველოში კი ეს პროცესი ცარიზმის პირობებში წარიმართა.

ერის ჩამოყალიბებას წინ უსწრებს ერის იდეა, რომელსაც ქმნის პოტენციური ნაციის კულტურული ელიტა. მშობლიური ერის იდეა წარმოადგენს ნახევრად მეცნიერულ დისკურსს, რომლის მეშვეობით ხდება მოცემული ერის კონტექტუალიზება დროსა და სივრცეში, წარმოჩინდება მისი უნიკალურობა საკრალურობა, ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელი მარკერები. ერთობის არაელიტურ ნაწილში ანუ ხალხში მშობლიური ერის იდეას ავრცელებენ სპეციალური სოციალური აგენტები, რომლებიც ამ მიზნით იყენებენ პერიოდულ მედიას და საგანმანათლებლო ქსელებს. მშობლიური ერის იდეის მოსახლეობის ფართო მასაში კულტივაცია არის სწორედ ნაციონალური იდენტობის წრთობა (ჩხარტიშვილი, მანია 2011).

იდენტობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია „ჩვენ" კოლექტივის კონცეპტუალიზაცია. ნაციონალური იდენტობა კოლექტიური-კულტურული იდენტობის ტიპს განეკუთვნება.

ერი-სახელმწიფო ჩვენ-ჯგუფს , შიდა–ჯგუფს ქმნის, რომელსაც ინდივიდები თავს მიაკუთვნებენ. მეორე მხრივ, შიდა-ჯგუფის არსებობა თავისთავად მოგვააზრებინებს გარე–ჯგუფებსაც, რადგან იმისთვის, რომ არსებობობდეს „ჩვენ“ აუცილებლად უნდა არსებობდეს მისი საპირისპირო მახასიათებლების მქონე „სხვაც“, ვისგანაც „ჩვენ“ თავს გამოარჩევს და, ამგვარად, საკუთარ იდენტობას ჩამოაყალიბებს (ბაუმანი 1998:152).

გორან თერბორნის განმარტებით იდენტობის ჩამოყალიბება სამი ძირითადი პროცესის შედეგად ხდება: 1) განსხვავებით, ანუ „მე“-ს ან „ჩვენ“-ის გარემოსგან, „სხვებისგან“ გამოყოფით. 2)საკუთარი სახის შექმნით. 3) სხვების მიერ აღიარებით. (თერბორნი 1995)

ამგვარად, ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია ,,სხვებთან” შეპირისპირება, რომლითაც ,,ჩვენ“ ჯგუფს ერთიანობის და ერთგვარობის განცდა უყალიბდება.

ნაციონალური იდენტობის კონტექსტში „სხვებს“, ძირითადად მეზობელი ერები და ასევე ტრანსნაციონალური პოლიტიკური ერთეულები წარმოადგენენ, შესაბამისად, იდენტობის ფორმირების პროცესში მათსა და შიდა–ჯგუფს შორის განმასხვავებელი ნიშნების ხაზგასმა ხდება. თუმცა, საგულისხმოა, რომ ნაციონალური ჩვენ–ჯგუფის ფორმირებისას, აპელირება ობიექტურ განმასხვავებელ ფაქტორებზე კი არ კეთდება, არამედ ძირითადად სუბიექტივისტურ ელემენტებზე-ღირებულებებზე, ცხოვრების წესზე, ტრადიციებზე, რელიგიაზე, ენაზე და ა.შ. (სმითი 2009).

„ჩვენ“ კონცეპტი ცვალებადია დროში, იცვლებიან მისი წევრებიც პოლიტიკური, კულტურული და სოციალური ცვლილებების შესაბამისად. ერთობის განცდა ყველაზე უკეთ „სხვასთან“ მიმართებაში აღიქმება.

ჩემი კვლევა ქართულ ნაციონალიზმში „ჩვენ“/“სხვა“ დიქოტომიაზე, ეფუძნება „ივერიის“ მრავალფეროვან მონაცემებს, ამჯერად, 1899 წლის ნომრებს. ამ დროს „ივერია“ ყოველდღიური გაზეთის სახით გამოიცემოდა. წინამდებარე ნაშრომი 282 ნომრის მასალას მოიცავს.

„ივერია“ გამოდიოდა 1877-1906 წლებში. თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ილიას „ივერია“ იყო ეროვნული იდეების გავრცელების მთავარი საშუალება, „ივერიამ“ მისი მკითხველი საზოგადოება ჩამოაყალიბა მოდერნულ ერად (ჩხარტიშვილი 2014:60).

ქართული ერთობის, როგორც კოლექტიური კულტურული იდენტობის გააზრება მათი ადგილის, მისიის და როლის განსაზღვრა ქართული პრესის ფურცლებზე განსაკუთრებით ინტენსიურად XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო.

ჩემი საკვლევი პერიოდის ,,ივერიაში“ ,,ჩვენ“ ერთობის კონცეპტუალიზაცია ხდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გარშემო. ამ საზოგადოების, როგორც მეხსიერების ადგილის შესახებ უკვე მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში (მანია 2019). ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1879 წელს დაარსდა. მისი საქმიანობა კი სრულად იყო დამოკიდებული შემოწირულობაზე. ქართული იდენტობა ქართული ენის გარშემო გაერთიანდა. ამ პერიოდის თბილისსა და დიდი ქალაქებში ეთნიკური ქართველები რიცხოვნობით მესამე ადგილზე არიან. ამ პრობლემაზე ქართული საზოგადოების რეაქციის გამომხატველია N 76 გამოქვეყნებული სტატია: „როგორც ტფილისის მესამე გიმნაზიის წლიურის ანგარიშიდგანა სჩანს, ამ მიმდინარე სამოსწავლო წელს გიმნაზიაში სულ 628 მოწაფე ყოფილა, მათ შორის

ქართველია 67, რუსი 107, სომეხი 398, თათარი 3, ებრაელი 25, დანარჩენ გვაროვნობისა 27“(„ივერია“ 1899, N76).

„ივერია“ აღნიშვნის ღირსად მიიჩნევს, რომ ქალაქში დასაქმებულ მოხელეებს შორის სჭარბობს, არაქართველთა რიცხვი: ,,ნ.ა. სუნდუკიანცის მაგივრად, რომელიც ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიის უფროსი თანაშემწე იყო და რომელმაც თავი დაანება ამ სამსახურს, ა.ახუმოვი დაუნიშნავთ“ („ივერია“ 1899, N76).

ამ ვითარებაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ქართული იდენტობის კონსოლიდაცია, იდენტობის შემოსაზღვრა ხდება ქართული ენით.

ამ პერიოდის ,,ივერიის“ თითქმის ყველა ნომერი ეხება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას. ამ საზოგადოების გარშემო ერთიანდება ქართველი ხალხი. ,,ჩვენ“ ერთობას საზღვრავს ის ქართველები ვინც რაიმე სახით მონაწილეობენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში: ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ გასამართავს ბაზარს შემოსწირა. თავადის ვახტანგ გურამიშვილის ასულმა, ელისაბედმა: 2 მუთაქის მოქსოვილი სათავე და საქანელა სავარძლის მოქსოვილი საფენი“ („ივერია“ 1899, N52).

და კიდევ: ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ნება მიეცა გაჰმართოს მუშტაიდის ბაღში საქველმოქმედო აზრით სეირნობა და ვაჭრობა. შემოსავალი გადაიდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ''(**„**ივერია**“** 1899, N78).

განათლების მნიშვნელობას ეხება ,,ივერიის“ N76. აქ გამოქვეყნებული სტატია ეძღვნება სვეტიცხოვლის საკვირაო სკოლის დაარსებას. განათლება ესახება ავტორს ჩვენი ერთობის განვითარების წინაპირობად: ,,სკოლა ის დაწესებულებაა, რომელსაც დიდის იმედით შეჰყურებენ ყოველნი ერნი ქვეყნისანი. ამ დედაბოძზეა დამყარებული საქართველოს ხალხის კეთილდღეობა, სკოლას შეუძლიან მკვიდრთა საკეთილდღეოდ ბევრი სიკეთე დასთესოს, აღმოაცენოს და ნაყოფი გამოაღებინოს. სწავლა-განათლებამ ჩვენი ხალხი გონებით უნდა განავითაროს, ზნეობა აღუმაღლოს, სარწმუნოებრივი გრძნობა განუღვიძოს და განუმტკიცოს, კეთილდღეობა დაუმყაროს“(„ივერია“ 1899, N76).

ავტორი ასევე აღნიშნავს იმ სირთულეებს, რაც განათლების სფეროშია.

,,საუბედუროდ, დიდი უვიცობის უტეხი ტყე უძევს წინ გასაკაფად ყოველს განათლების ასპარეზზედ მოღვაწეს ჩვენში, ეს საზოგადოდ უნდა ითქვას ჩვენის დედათა აღზრდა-განათლების შესახებ, რომლისგანაც დამოკიდებულია ჩვენ ნორჩ-მომავალთა აღზრდა-მიმართულება, ჩვენი ერისა და ქვეყნის ბედი და უბედობა“ („ივერია“ 1899, N76).

აქვე აღნიშნულია ქალთა განათლების მნიშვნელობა. ავტორი ხაზსს უსვამს, ისტორიულ წარსულს, ახსენებს მკითხველს, რომ ქალთა განათლებას ჩვენში დიდი ტრადიცია აქვს: ,,დიდი მნიშვნელობა ქალთა განათლებისა კარგად იყო შეგნებული ძველად. ჩვენში ძველთაგანვე სწავლა-განათლების საქმე ქალების ხელში ყოფილა. შესანიშნავია ის გარემოება, რომ ქრისტიანობა და ქრისტიანული ლიტერატურაც დედაკაცებს დაუწყვიათ“(„ივერია“ 1899, N76).

საკვლევ წყაროში ჩვენ-ჯგუფის კოლექტიური კულტურული იდენტობა მკვეთრად არის გამოხატული. „ჩვენ“ იდენტობა უნიკალურია, ერთადერთია, მის საკრალურობა გამოხატულია ქართული ენით, ერთობოთ, ისტორიული მახსოვრობით, საერთო წინაპრით.

,,ივერია“ ამხელს საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც საერთო საქმეში არ ან სათანადოდ ვერ მონაწილეობს. ასეთ საერთო საქმედ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მიიჩნევა. ,,ივერიის“ N 59 წერილი სენაკიდან ეხება სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატთა კრებას: ,,ორიოდე სიტყვა სასწავლებლის შესახებ, თუმცაღა ამდენს ხარჯს ეწევა სამღვდელოება ამ სასწავლებლის შესანახად, მაგრამ სანატრელს მდგომარეობაში მაინც არ არის იგი...მიზეზი იმისა, რომ სასწავლებელს საკუთარი შენობა არ აქვს ჩვენებური მიკერძება და ,,პროვინციალური დას-დასობაა“, რომელთაც არა გზით ადგილი არ უნდა ჰქონდეს საზოგადო საქმეში. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ სადაც ,,შენჩემობა“ თავს იჩენს და ეს წყეული ,,მე“და ,,ჩემი მნენიე“ თავ გამოჰყოფს, იქ ჩვენში ვერაფერი გამოდნება. დროა, რომ კომისიამ თავის მიერ ნაკისრ საქმეს მხნედ მოჰკიდოს ხელი, თორემ ერთი წელიწადიც სრულდება, რაც ისინი იქმნენ არჩეულნი და ამ საქმისთვის და რა გაკეთებულა?!... “ („ივერია“ 1899, N 59).

ქართული იდენტობის კონსოლიდაციისთვის ქართული ენის მნიშვნელობა, განათლების წინ წამოწევა და მის გარშემო გაერთიანებული ერთობა მოიაზრება ამ პერიოდის ,,ივერიის“ ნომრებში.

,,ჩვენ“ იდენტობის საკრალიზაცია კარგად ჩანს ,,ივერიის“ N74 გამოქვეყნებულ სტატიაში. სადაც ავტორი ქართველთა სულიერ განახლებას, ტაძრის განახლებაში ხედავს. ეს წარმოსახვითი ერთობა სვეტიცხოვლის გარშემო მოიაზრება: ,,რა დიდ-მნიშვნელოვანია მცხეთის სვეტიცხოველის საკათალიკოზო ტაძარი ქართველთათვის, ამის შესახებ ბევრი ითქვა დღემდე. სიამოვნებით უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ ქართველთა ეროვნულ თავისებურების დედაბოძის განახლების საქმემ უიმისოთ ძილით დათენთილნი, მძიმენი უთადარიგონი როგორღაც გამოგვაფხიზლა, თვალები მოგვაშვეტინა და სამოქმედოდ აგვიძგერა გული, აგერ შესდგა კომიტეტი და გააბა ღაღადი დიდი საქრისტიანო ერისა შორის შემწეობისათვის’’(„ივერია“ 1899, N74).

და კიდევ: ,,მწუხარებით უნდა ავღნიშნოთ, რომ ქ. ტფილისის ეკლესიების სულიერნი მამანი ყველანი არ დაესწრენ ამ ფრიად სასიამოვნო საღამოს’’

ავტორს ქართველთა ერთობა წარმოუდგენია როგორც წამებული ქართველების მემკვიდრე: ,,მე-კი ამ ზემორე ნათქვამით გრძნობა აშლილი, ისევ მოგმართავ, წამებულთა მემკვიდრეო ქართველობავ! ნუ უღალატებ მამაპაპის ანდერძს, ნუ უღალატებ შენს სხვიმოსულს წარსულს! ნუ დაცლი შენის ეროვნული თავისებურობის მხცოვანს დედაბოძს წაქცევისა და დროზედ მიაშველე ხელი მეშველი…ჩვენ ბევრი დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი, მაგრამ სვეტისცხოვლის განახლებაც ხომ ,,დიდი საქმეა“, ქართველნო! ვინ იცის, იქნება ღმერთმა ინებოს და ამა უწმინდესის ტაძრის განახლებამ ჩვენი სულიერად განახლება გამოიწვიოს! ყოველ შემთხვევაში მუდამ ერთია მშობელი მრავალთა’’(„ივერია“ 1899, N74).

„ჩვენ“ იდენტობისთვის მნიშვნელოვანია საერთო ისტორიული მახსოვრობა, მას საკრალური მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც ,სომეხ მეცნიერთა კრიტიკამ ,ქართლის ცხოვრების“ ისტორიულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, დიდი გამოხმაურება პოვა ,,ივერიის“ ნომრებში.

წარმოშობით სომეხმა მეცნიერმა პატკანოვმა ,,ქართლის ცხოვრების“ შესახებ გამოაქვეყნა წერილი ,,ძველი ქართული ქრონიკის შესახებ“. მან უარყო ,,ქართლის ცხოვრების“ სამეცნიერო ღირებულება, ავტორობა კი XI საუკუნის სომეხ ბერს მიაწერა. ბუნებრივია, ფაქტების ამგვარ დამახინჯებას მოჰყვა ქართული ინტელიგენციის შესაბამისი

რეაქცია. დიმიტრი ბაქრაძემ საპასუხოდ 1884 წელს გამოაქვეყნა წერილი ,,პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“ სადაც საფუძვლიანად უარყო პატკანოვის თვალსაზრისი. სომეხ მეცნიერთა ბრალდებებს უპასუხა ილია ჭავჭავაძემაც. სწორედ 1899 წლის ,,ივერიის“ ნომრებში სტატიების ციკლის სახით იბეჭდებოდა ,,ქვათა ღაღადი“. ეს ციკლი ჩემი კვლევისთვის საინტერესოა, როგორც მაგალითი იმისა, როგორ მოიაზრება ქართული ერთობა და რა კულტურულ მიჯნას აკეთებს „სხვასთან“. მნიშვნელოვანი ,,სხვებად“ ამ შემთხვევაში სომხები გვევლინებიან.

ილიასთვის ქართული ერთობა ასე მოიაზრება: „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ანუ ზედ გვაბოტებს, ან გვქლესავს და მიწასთან გვასწორებს“(„ ივერია“ 1899, N64).

„ივერია“ მიუთითებს, რომ ქართულ იდენტობას და მის ისტორიას კი სომხები ებრძვიან: ,,მთელი სამოცი წელიწადია, რაც ერთი და იგივე ჭექა-ქუხილი ერთისა და იმავე ტენდენციისა ჩვენს ვინაობას ერჩის და დღემ მუდამ უფრო მეტი კადნიერებით, უფრო მეტის გაბედვით, მეტის სილაღით ტყავს აძრობს და წარღვნას უქადის“(„ივერია“ 1899, N65).

„ივერიის“ მიხედვით, სომხები ისტორიის მიმთვისებლები არიან. საუბარია ჭოროხის ხეობის სათავეებთან ქართულ მიწებზე: ,,სომხების მწიგნობარნი მაინც თავისას იძახიან და ბინას იკეთებენ იქ, საცა არა ჰქონიათ, განა აშკარა არ არის, რომ ამ ცუღლუტურ მეცნიერობით სწადიათ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ისტორიული უფლება მიუძღვით იმ ადგილებში ბინის დადებისა“ („ივერია“ 1899,N 65).

ავტორი, ქართველებსა და სომხებს შორის სხვაობას რელიგიური კუთხითაც მიჯნავს: ,,მაშასადამე აღთქმებსა სომეხნი გაეცალნენ ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში და მას აქეთ სარწმუნეობით ცალკე გავიდნენ“(„ივერია“ 1899, N76).

ამგვარად, პუბლიკაციების ციკლში ,,ქვათა ღაღადი“ გამოკვეთილია ჩვენ/ სხვა დიქოტომია, ქართველების „ჩვენ“ და „ჩვენის“ შეპირისპირება ,,სხვებთან“.

ნაციონალური კონსოლოდაცია, ეს სოციალური მოძრაობაა, რომლის მიზანს ნაციის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ქართული ეროვნული იდეის ავტორია ილია ჭავჭავაძე. მოწინავე ეროვნულმა იდეებმა, ერის გადარჩენის გზების ძიებამ ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა შემოქმედებაში შეიძინა მწყობრი და თანამიმდევრული კონცეფციის სახე, რომელიც მთელი ერის ქმედებისა და ბრძოლის ნათლად გააზრებულ პროგრამად იქცა და რომლის საბოლოო მიზანს ეროვნული ჩაგვრისგან თავისუფალი და სოციალურად თანასწორი საზოგადოების აშენება წარმოადგენდა. ილია ჭავჭავაძე მეწინავე იყო მათ შორის, ვინც ქართულ სინამდვილეში ასეთი საზოგადოების აშენებისა და მშობელი ქვეყნის ბედნიერი მომავლის რწმენა დანერგა.

ჩემს საკვლევ მასალად წარმოდგენილი ,,ივერია“ არა მარტო ასახავს ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს, ასევე თავად ქმინიდა ეროვნულ გრძნობებს. ხშირ შემთხვევაში ,,ივერიის“ ფურცლებიდან მიმართავდნენ წარმოსახვით ერთობას. ,,ჩვენ“ იდენტობა მოაზრებდა ერთობას, რომელიც ეროვნული წრთობის პროცესშია, რომ ის ერთიანდება საერთო მიზნით და იდეით. ჩემს საკვლევ მასალაში ეს არის წერა- კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მის გარშემო შემოკრებილი ერთობა, რომელიც მარკირებულია საერთო ენით, წარსულით, ისტორიული მახსოვრობით. „მნიშვნელოვან სხვად“ ქართულ პერიოდულ გამოცემებში დაფიქსირებულნი არიან რუსები, სომხები, ოსები.

ლიტერატურა:

ბაუმანი 1998: Bauman, Z. *Postmodernity and its Discontents*. London, Polity Press

თერბორნი 1995: Therborn, G. *The Trajectory of European Societies 1945–2000*. London, SAGE Publications Ltd.

მანია 2019: მანია ქეთევან: „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ როგორც ეროვნული მეხსიერების ადგილი (ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით). *ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები.* XVII_XVIII , 124-133.

სმითი 2009: Smith, A. D. Ethno-symbolism and Nationalism. A Cultural Approach. London,New York: Routledge.

ჩხარტიშვილი, მანია 2011: ჩხარტიშვილი მარიამ, მანია ქეთევან. *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო.* ტომი I, თბილისი.

ჩხარტიშვილი, 2014: ჩხარტიშვილი მარიამ. ქართველი ერის იდეა ნაციის ფენომენის შესახებ ევროპული დისკურსის ფონზე. საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია, ევროპული ღირებულებები და იდენტობა, თბილისი.

ჩხარტიშვილი 2020: ჩხარტიშვილი მარიამ. ქართული ეროვნული იდენტობის ეთნოსიმბოლისტური კვლევა, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, 2020, XXII, 187–188

Nino Gabinashvili
Javakhishvili State University
Tbilisi, Georgia
N.gabinashvili19@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.13

The perception of the “we”/“other” dichotomy in the process of forming Georgian nationalism (according to the 1899 issues of “Iveria”)

Abstract

The research of Georgian nationalism is a current scientific problem and, one might say, even popular in Georgian historiography.

According to the ethnosymbolist approach, the elite makes a great contribution to the formation of nations. So, on the one hand, the activity of intellectuals and the discourse they initiate, and on the other hand, the actual culture and masses have significance in the creation of modern nations. Nations are a modern phenomenon, but they are rooted in the legacy of pre-modern units (M. Chkhartishvili 2020).

Ethnosymbolism views nationalism as a component of culture, links nationalist movements to a cultural renaissance, and considers prominent nationalist leaders to be the founding fathers of nations.

The formation of Georgian nationalism took place in the second half of the 19th century, when Georgia was part of Russia. In general, the 19th century is characterized by the formation of modern nations. In Georgia, this process took place under tsarist conditions.

The formation of a nation is preceded by the idea of a nation, which is created by the cultural elite of the potential nation. The idea of a native nation is a semi-scientific discourse through which a given nation is contextualized in time and space, its uniqueness, sacredness, and defining markers of national identity are presented. In the non-elite part of the unity, that is, among the people, the idea of a native nation is spread by special social agents who use periodical media and educational networks for this purpose. Cultivating the idea of a native nation among the broad masses of the population is precisely the formation of national identity (Chkhartishvili, Mania 2011).

Conceptualizing the collective "we" is very important for identity. National identity belongs to the type of collective-cultural identity. The nation-state creates an in-group, an in-group, to which individuals identify. The other side, the existence of an in-group naturally makes us think about out-groups, because in order for "us" to exist, there must also be an "other" with opposite characteristics, from whom "us" distinguishes itself and, thus, forms its own identity (Bauman 1998)

In the context of national identity, "others" are mainly other nations and also transnational entities. Accordingly, in the process of identity formation, the distinguishing features between them and the in-group are emphasized. However, it is noteworthy that when defining the national in-group, the appeal is not made to objective distinguishing factors, but mainly to cultural elements - values, lifestyle, traditions, religion, language, etc. (Smith, 2009).

The concept of "we" is fluid over time, and its members change in response to political, cultural, and social changes. The sense of unity is best experienced in relation to the "other."
My research on the "we"/"other" dichotomy in Georgian nationalism is based on a variety of data from Iveria, specifically issues from 1899. At that time, Iveria was published as a daily newspaper. The report includes material from 282 issues.

"Iveria" was published in 1877-1906. For almost three decades, Ilia's "Iveria" was the main means of spreading national ideas, and Iveria shaped its readership into the modern era. (Chkhartishvili, 2012, pp. 188-211).

Such "significant others" are recorded in Georgian periodicals as Russians, Armenians, and Ossetians. In the research source, the collective cultural identity of the "we" group is clearly expressed. The identity of "we" is unique, the only one, its sacredness is expressed through togetherness, historical memory, common ancestry, and land.

Key words: Georgian nationalism, Georgian historiography, nations